



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი №19**

ქ. ლანჩხუთი

28.09.2018 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) მოვალეობის შემსრულებელი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მათა კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ეკა მეგრელიძევილი.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა

სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგალი კუნჭულია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე, ბესიკ ტაბიძე საპატიო მიზეზის გამო არ იმყოფება ადგილზე, ამიტომ თვითონ წარუძღვება დღევანდელ სხდომას. მისი თქმით, საკრებულოს ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს. მან სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

2. „ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „სპორტული ცენტრი“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. კუნჭულია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებსა და საავტომობილო გზების გასწვრივ წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ჩახვამე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

10. სხვადასხვა საკითხები.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს დეპუტატი აკაკი იმნაიშვილი.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე გააკეთა განცხადება. მისი თქმით კარგი იქნებოდა, რომ დღევანდელ სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე. როგორც ცნობილია, სრულიად ლანჩხუთის მოსახლეობა შოკში ჩააგდო ბატონ გია თვალავაძის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა. ყველა მოელოდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო მას გამოუშვებდა თავდებში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რადგან მუნიციპალიტეტის დონეზე საკრებულო წარმოადგენს უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოს, ამიტომ საკრებულოს წევრმა შესთავაზა კოლეგებს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე გამოცხადდეს შესვენება, რათა დეპუტატებმა ერთობლივად შეიმუშაონ შესაბამისი ტექსტი, რის შემდეგაც იურისტებთან კონსულტაციის შედეგად განისაზღვრება, პეტიციის სახით იქნება ეს, თუ განცხადების ფორმით, რათა მუნიციპალიტეტის საკრებულო სააპელაციო სასამართლოს წინაშე თავდებში ჩაუდგეს გია თვალავაძეს, რომელიც ბრალს არ აღიარებს და თავს მიიჩნევს უდანაშაულოდ. საკრებულოს წევრის თქმით, ხელისუფლებაში უმრავლესობის წარმომადგენლებმა უნდა მოიხსნან უხერხულობა, რადგან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ გია თვალავაძე არის უდანაშაულო და თუ სასამართლო გაუძლებს ზეწოლას, მაშინ სააპელაციო სასამართლომ ის უნდა გაათავისუფლოს და ცნოს უდანაშაულოდ. დეპუტატის თქმით, საკრებულოს ფრაქციამ „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ შეგნებულად არ მოამზადა განცხადების ტექსტი. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა კოლეგებს, ერთობლივად შეიმუშაონ იგი, რადგან ეს უნდა იყოს საერთო აზრის გამომხატველი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე.

საკრებულოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ დღის პირველ საათზე იმართება სრულიად აპოლიტიკური აქცია სოლიდარობა გია თვალავაძეს. ამიტომ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემთხვევაში აქციის დაწყებამდე ვერ მოესწრება განცხადების ტექსტის შემუშავება, რაც დეპუტატის აზრით, დაგვიანებულიც

კია, რადგან ამ საკითხზე უნდა ემსჯელათ პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესის წინ. საკრებულოს წევრის აზრით, თუკი არსებობს ასეთი განცხადება, ისინი უნდა გაეცნონ მის შინაარსს და აუცილებლად მოაწერონ ხელი, რათა აღნიშნულ აქციაზე მოსულ ლანხუთის საზოგადოებას გააცნონ მუნიციპალიტეტის რჩეულების და საკრებულოს წევრების დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ სრულიად უმრავლესობის წარმომადგენლები მხარდაჭერას უცხადებენ გია თვალავაძეს, მაგრამ დაელოდებიან გამოძიების შედეგებს, მანამდე კი მზად არიან თავდებში ჩაუდგნენ მას, რათა გამოძიების დამთავრებამდე არ შეეფარდოს აღმკვეთი ღონისძიება. გარდა ამისა, დეპუტატის თქმით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა იმყოფება დედაქალაქში, რათა ამ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსირონ არსებული პოზიცია.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** შესთავაზა კოლეგებს გაგრძელებს მუშაობა დღის წესრიგის მიხედვით, რადგან ისეთი პროექტებია წარმოდგენილი, რომელთა შესახებ მსეჯობა არ მოითხოვს დიდ დროს, რის შემდეგაც პირველი საათისთვის შეუერთდებიან აქციას. მისი თქმით ეს ისეთი თემაა, რომელმაც ყველა გააერთიანა.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** კიდევ ერთხელ მოუწოდა დეპუტატებს, რადგან ერთ საათში იწყება აქცია, შეიმუშაონ ტექსტი და თუ იგი უკვე შედგენილია, გაეცნონ მას და აქციას შეუერთდნენ გამზადებული განცხადებით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვაძის** თქმით, ტექსტი შემუშავებულია. მისი აზრით, საკრებულოს წევრებმა უნდა განიხილონ წარმოდგენილი პროექტები, რასაც დროის მცირე მონაკვეთში მორჩებიან და გავიდნენ აქციაზე.

საკრებულოს წევრმა, **გოდერძი ქურიძემ** მიმართა კოლეგებს, რომ დრო გადის, ამიტომ უნდა შეუდგნენ წარმოდგენილი საკითხების განხილვას, რასაც დაჭირდება დაახლოებით 10-15 წუთი და მეტი დრო დარჩებათ განცხადების მოსამზადებლად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვლადიმერ ნანაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს ფრაქციამ „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ სხდომა დატოვა, რადგან მათი წინადადება საკრებულოს სხდომაზე არ იქნა გათვალისწინებული.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

მომხრე 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს:

ა) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთა მიერ აქტის შედგენის, ცნობის გაცემისა და ბეჭდის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 8 ნოემბრის N30 დადგენილება (ვებგვერდი, 11114011, 16/11/2011; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.112.016052);

ბ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის N26 დადგენილება (ვებგვერდი, 110907016, 12/09/2011; სარეგისტრაციო კოდი: 330120020.35.112.016048);

გ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერვლის N10 დადგენილება (ვებგვერდი, 07/03/2012; სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.016073);

დ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის

განსაზღვრის, საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმებისა და

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ივნისის N28 დადგენილება (ვებგვერდი, 03/07/2015;

სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.016229).

ე) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 მაისის N30 დადგენილება (ვებგვერდი, 24/05/2013 სარეგისტრაციო კოდი: 020090000.35.112.016128).

ვ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობათა დასახელებისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N12 დადგენილება (სსმ, 16, 25/08/2010; სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.000412);

ზ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმის დამტკიცების წესისა და ფორმის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 07 მარტის N12 დადგენილება (ვებგვერდი, 15/03/2013; სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.016110);

თ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 05 აპრილის N14 დადგენილება (ვებგვერდი, 08/04/2013; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.112.016112).

ი) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილება (ვებგვერდი, 30/12/2013;

სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016154).

კ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N46 დადგენილება (ვებგვერდი, 26/12/2014; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016201).

ლ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილება (ვებგვერდი, 05/01/2016; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016248).

მ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილება (ვებგვერდი, 30/12/2016; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016281).

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება №49 (28.09.2018)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან ჯილდოს გაცემის წესი არ იცვლება. აღნიშნულ პროექტში ცვლილება მდგომარეობს შემდეგში: სიტყვები „გამგებელი“ და „გამგეობა“ შეიცვალა სიტყვებით „მერი“ და „მერია“.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება №50 (28.09.2018)

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „სპორტული ცენტრი“

გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში ზოგადად, წესი არ იცვლება. ცვლილება მდგომარეობს შემდეგში: სიტყვები „გამგებელი“ და „გამგეობა“ შეიცვალა სიტყვებით „მერი“ და „მერია“.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება №51 (28.09.2018)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განყოფილებებში გადანაწილდა ფუნქციები.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება №52 (28.09.2018)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა **მაგული კუნჭულიამ**.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

**მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება №53 (28.09.2018)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებსა და საავტომობილო გზების გასწვრივ წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ**. მისი თქმით, აღნიშნული წესის ამოქმედებამდე გამოსაყოფია ტერიტორია, სადაც მოეწყობა სპეციალური ჩიხი, რომელშიც მოთავსებული იქნება დაკავებული პირუტყვი. ამასთან, კვების ხარჯი თავის თავზე უნდა აიღოს მუნიციპალიტეტმა, რაც გაწერილი უნდა იყოს ბიუჯეტში, მაგრამ მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტში ეს თანხა არ არის გათვალისწინებული. ამიტომ, დეპუტატის აზრით, ეს დადგენილება უნდა ამოქმედდეს 2019 წლის თებერვლის თვიდან.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

**მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება №54 (28.09.2018)**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილება არის ტექნიკური ხასიათის. კერძოდ, სიტყვები „გამგებელი“ და „გამგეობა“ შეიცვალა სიტყვებით „მერი“ და „მერია“.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება №91 (28.09.2018)

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ. მან აღნიშნა, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა სიიდან ამოღებულ უნდა იქნას დამლაგებლის გრაფა, ვინაიდან, ტენდერის შედეგად გამარჯვებული კომპანია უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავებას. შესაბამისად, დამლაგებლის ნაცვლად, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, უნდა ჩაიწეროს „საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მძღოლი“.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება №92 (28.09.2018)

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განყოფილების სპეციალისტი განახორციელებს საკრებულოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

**მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება №93 (28.09.2018)**

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებობს მაგისტრანტი სასამართლო. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ არის შემთხვევები, როცა კვირაში ერთ დღესაც არ ჩამოდის მოსამართლე, რათა განიხილოს საქმეები. ამიტომ ადგილობრივ მოსახლეობას, თუნდაც ისეთი ელემენტარული საქმეების გამო, რომელთა განხილვას რამდენიმე წუთი ჭირდება და შეეხება გვარსა და სახელში ცვლილებას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უხდებათ ჩასვლა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თქმით, მართალია ეს საკრებულოს პრეროგატივა არ არის, მაგრამ საკრებულოს წევრებმა მაინც უნდა დააყენონ აღნიშნული საკითხი და

ხალხს დაუდგინონ გვერდით თუნდაც იმით, რომ ოქმის ჩანაწერი გადაეგზავნოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რათა მისი მხრიდან მოხდეს სათანადო რეაგირება, მით უმეტეს, რომ დებულებით ევალება ასეთი საკითხების მოგვარება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილის, **კახა ბოლქვაძის** თქმით ეთანხმება კოლეგას, რომ აღარ იქნება ბიუროკრატიული ბარიერები და ქალაქიდან ქალაქში არ იქნება გადანაწილებული მომსახურების ესა თუ ის სერვისი. ამასთან, კარგი იქნება, თუ მომზადდება სპეციალური წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგდოებრივ ცენტრს, რომელიც ახლახანს გაიხსნა მუნიციპალიტეტში, დაერქვას „იუსტიციის სახლი“, რის შედეგადაც ადგილობრივ მოსახლეობას კიდევ ერთი ბიუროკრატიული ბარიერი მოეხსნება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ვლადიმერ ნანაძე



სხდომის თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო